

საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №231

2005 წლის 20 აპრილი

ქ. თბილისი

მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ
„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე, 39-ე და 134-ე მუხლების შესაბამისად:

1. დამტკიცდეს:

ა) მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესი №1 დანართის თანახმად;

ბ) ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მივლინების დროს სადღეღამისო და საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯების ანაზღაურების ნორმები №2 დანართის თანახმად;

გ) მაღალი რანგის თანამდებობის პირთათვის ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მივლინებისას სადღეღამისო ნორმის დანამატი №3 დანართის თანახმად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 4 აპრილის №220 ბრძანებულება „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“.

მ. სააკაშვილი

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 4 ივნისის ბრძანებულება №456-სსმ III, №69, 10.06.2005წ; მუხ.737
2. საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 1 თებერვლის ბრძანებულება №93-სსმ III, №14, 03.02.2006წ; მუხ.163
3. საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 17 მარტის ბრძანებულება №210-სსმ III, №35, 17.03.2006წ; მუხ.419
4. საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 6 ნოემბრის ბრძანებულება №653-სსმ III, №150, 08.11.2006წ; მუხ.2076
5. საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 13 დეკემბრის ბრძანებულება №742-სსმ III, №168, 14.12.2006წ; მუხ.2273
6. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 10 იანვარი ბრძანებულება №26-სსმ III, №4, 10.01.2007წ; მუხ.23
7. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 27 მარტის ბრძანებულება №204-სსმ III, №43, 29.03.2007წ; მუხ.483
8. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 14 მაისის ბრძანებულება №300-სსმ III, №67, 15.05.2007წ; მუხ.745
9. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 მაისის ბრძანებულება №324-სსმ III, №75, 29.05.2007წ; მუხ.795
10. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 8 ივნისის ბრძანებულება №353-სსმ III, №82, 14.06.2007წ; მუხ.870
11. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 20 ივნისის ბრძანებულება №373-სსმ III, №87, 22.06.2007წ; მუხ.934
12. საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 28 იანვრის ბრძანებულება №35-სსმ III, №15, 30.01.2008წ; მუხ.183
13. საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 21 თებერვლის ბრძანებულება №96-სსმ III, №29, 25.02.2008წ; მუხ.301
14. საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 4 მარტის ბრძანებულება №111-სსმ III, №36, 07.03.2008წ; მუხ.380
15. საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 14 მარტის ბრძანებულება №144-სსმ III, №41, 19.03.2008წ; მუხ.466
16. საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 30 სექტემბრის ბრძანებულება №465-სსმ III, №144, 01.10.2008წ; მუხ.1430

17. საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 2 ოქტომბრის ბრძანებულება №474-სსმ III, №146, 03.10.2008წ; მუხ.1454
18. საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 ნოემბრის ბრძანებულება №549-სსმ III, №166, 21.11.2008წ; მუხ.1675
19. საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 13 თებერვლის ბრძანებულება №57-სსმ III, №17, 16.02.2009წ; მუხ.216
20. საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 27 დეკემბრის ბრძანებულება №961-სსმ III, №158, 29.12.2009წ; მუხ.1896
21. საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 17 მაისის ბრძანებულება №315-სსმ III, №56, 20.05.2010წ; მუხ.857
22. საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 18 მაისის ბრძანებულება №320-სსმ III, №56, 20.05.2010წ; მუხ.858
23. საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 10 ივნისის ბრძანებულება №403-სსმ III, №66, 10.06.2010წ; მუხ.979
24. საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 7 ივლისის ბრძანებულება №473-სსმ III, №82, 08.07.2010წ; მუხ.1183
25. საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 19 ივლისის ბრძანებულება №519-სსმ III, №87, 19.07.2010წ; მუხ.1278
26. საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის ბრძანებულება №819-სსმ III, №131, 12.10.2010წ; მუხ.1901
27. საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 24 ნოემბრის ბრძანებულება №958-სსმ III, №153, 24.11.2010წ; მუხ.2177
28. საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 17 დეკემბრის ბრძანებულება №1024-სსმ III, №166, 20.12.2010წ; მუხ.2377
29. საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 20 დეკემბრის ბრძანებულება №1029-სსმ III, №166, 20.12.2010წ; მუხ.2381
30. საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულება №1079-სსმ III, №171, 30.12.2010წ; მუხ.2455
31. საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულება №1081-სსმ III, №171, 30.12.2010წ; მუხ.2457
32. საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 17 თებერვლის ბრძანებულება №86 – ვებგვერდი, 18.02.2011წ.
33. საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 15 აპრილის ბრძანებულება №206 – ვებგვერდი, 15.04.2011წ.
34. საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 13 ივნისის ბრძანებულება №316 - ვებგვერდი, 14.06.2011წ.
35. საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 12 სექტემბრის ბრძანებულება №510 - ვებგვერდი, 12.09.2011წ.
36. საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 13 სექტემბრის ბრძანებულება №513 - ვებგვერდი, 14.09.2011წ.
37. საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 20 სექტემბრის ბრძანებულება №534 - ვებგვერდი, 20.09.2011წ.
38. საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 3 ოქტომბრის ბრძანებულება №577 - ვებგვერდი, 03.10.2011წ.
39. საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 6 ოქტომბრის ბრძანებულება №595 - ვებგვერდი, 10.10.2011წ.
40. საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 15 ნოემბრის ბრძანებულება №728 - ვებგვერდი, 15.11.2011წ.
41. საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 3 იანვრის ბრძანებულება №2 - ვებგვერდი, 03.01.2012წ.
42. საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 2 თებერვლის ბრძანებულება №81 - ვებგვერდი, 02.02.2012წ.
43. საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 16 მარტის ბრძანებულება №213 - ვებგვერდი, 16.03.2012წ.
44. საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 22 მარტის ბრძანებულება №233 - ვებგვერდი, 22.03.2012წ.
45. საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 4 ივნისის ბრძანებულება №461 - ვებგვერდი, 04.06.2012წ.
46. საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 5 ივნისის ბრძანებულება №462 - ვებგვერდი, 05.06.2012წ.
47. საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 15 აგვისტოს ბრძანებულება №717 - ვებგვერდი, 15.08.2012წ.
48. საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 11 იანვრის ბრძანებულება №15 - ვებგვერდი, 11.01.2013წ.
49. საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 5 აპრილის ბრძანებულება №227 - ვებგვერდი, 05.04.2013წ.

მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესი

1. სამსახურებრივ მივლინებად ითვლება შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით მოსამსახურის გამგზავრება სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად მუდმივი სამუშაო ადგილის ფარგლებს გარეთ.

2. ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინება შეიძლება იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი.

3. ქვეყნის ფარგლებს გარეთ გრძელვადიან მივლინებად ითვლება მოსამსახურის გაგზავნა უცხო სახელმწიფოში ერთ თვეზე მეტი ვადით.

3¹. საქართველოს მთავრობის წევრი (გარდა პრემიერ-მინისტრისა, ვიცე-პრემიერებისა და საგარეო საქმეთა მინისტრისა) ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამგზავრებასთან დაკავშირებით წინასწარ წერილობითი ფორმით მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს. მიმართვაში უნდა აღინიშნოს ვიზიტის მიზანი და ხანგრძლივობა.

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 4 მარტის ბრძანებულება №111-სსმ III, №36, 07.03.2008წ; მუხ.380

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 14 მარტის ბრძანებულება №144-სსმ III, №41, 19.03.2008წ; მუხ.466

საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 13 თებერვლის ბრძანებულება №57-სსმ III, №17, 16.02.2009წ; მუხ.216

3². საქართველოს მთავრობის წევრი (გარდა პრემიერ-მინისტრისა, ვიცე-პრემიერებისა და საგარეო საქმეთა მინისტრისა) ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიემგზავრება საქართველოს პრეზიდენტის წინასწარი თანხმობით.

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 4 მარტის ბრძანებულება №111-სსმ III, №36, 07.03.2008წ; მუხ.380

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 14 მარტის ბრძანებულება №144-სსმ III, №41, 19.03.2008წ; მუხ.466

საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 13 თებერვლის ბრძანებულება №57-სსმ III, №17, 16.02.2009წ; მუხ.216

4. იმ შემთხვევაში, თუ საზღვარგარეთ საქართველოს დაწესებულებები აკრედიტებული არიან ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში, მათი აკრედიტაციის ქვეყნებში ამ დაწესებულების მოსამსახურეთა მივლინება ჩაითვლება მივლინებად იმ სახელმწიფოს შიგნით, სადაც ეს დაწესებულება მდებარეობს.

5. მივლინებაში ყოფნის პერიოდში მოსამსახურეს უნარჩუნდება დაკავებული თანამდებობა და ხელფასი.

6. მოსამსახურეს, რომელსაც გზავნიან სამსახურებრივ მივლინებაში, სრულად უნდა აუნაზღაურდეს სამივლინებო ხარჯები მივლინებაში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში, გარდა ამ წესით დადგენილი გამონაკლისებისა.

7. სამივლინებო ხარჯები შედგება სადღეღამისო, მგზავრობის, საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისა და საზღვარგარეთის შესაბამისი ქვეყნის ვიზის მიღებისათვის გაწეული ხარჯებისაგან, ხოლო 30 კმ-მდე მანძილზე მივლინებისას, როდესაც შესაძლებელია სამუშაო (საცხოვრებელ) ადგილზე იმავე დღეს დაბრუნება, ანაზღაურდება მხოლოდ მგზავრობის ხარჯები. მაღალი რანგის თანამდებობის პირს ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მივლინებისას ყოველდღიურად აგრეთვე მიეცემა ამ ბრძანებულების №3 დანართით გათვალისწინებული სადღეღამისო ნორმის დანამატი. ამასთან, №3 დანართის შენიშვნის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ მაღალი რანგის თანამდებობის პირებს აუნაზღაურდებათ ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივ მივლინებასთან დაკავშირებული კავშირგაბმულობის, ტრანსპორტის დაქირავებისა და წარმომადგენლობითი ხარჯები. სამთავრობო დელეგაციის ვიზიტის მოსამზადებლად ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებისას მოსამსახურეს ასევე აუნაზღაურდება მივლინებასთან დაკავშირებული კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის დაქირავების ხარჯები, ხოლო სამთავრობო დელეგაციის წევრებს – მივლინებასთან დაკავშირებული კავშირგაბმულობის ხარჯები.

საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 4 ივნისის ბრძანებულება №456-სსმ III, №69, 10.06.2005წ; მუხ.737

საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 1 თებერვლის ბრძანებულება №93-სსმ III, №14, 03.02.2006წ; მუხ.163 საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 14 მაისის ბრძანებულება №300-სსმ III, №67, 15.05.2007წ; მუხ.745 საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 20 დეკემბრის ბრძანებულება №1029-სსმ III, №166, 20.12.2010წ; მუხ.2381

საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 15 ნოემბრის ბრძანებულება №728 - ვებგვერდი, 15.11.2011წ.

8. სადღეღამისო ხარჯები იანგარიშება სამსახურებრივ მივლინებაში ფაქტობრივად ყოფნის დღეების მიხედვით, დასვენებისა და უქმე, აგრეთვე მივლინებაში გამგზავრებისა და მივლინებიდან დაბრუნების დღეების ჩათვლით.

9. ქვეყნის შიგნით სამსახურებრივი მივლინების სადღეღამისო ხარჯების ნორმა განისაზღვრება დღეში 15 ლარის ოდენობით, ხოლო ქვეყნის გარეთ – ამ ბრძანებულების №2 დანართის შესაბამისად.

10. მოსამსახურეს ქვეყნის ფარგლებს გარეთ გრძელვადიანი სამსახურებრივი მივლინებისას პირველი 30 დღის განმავლობაში სადღეღამისო ხარჯები უნაზღაურდება ამ ბრძანებულების №2 დანართის მიხედვით მოკლევადიანი მივლინებისათვის დადგენილი ნორმებით, ხოლო 30 დღის შემდეგ – ამავე დანართის მე-4 გრაფით (საზღვარგარეთ საქართველოს დაწესებულების მუშაკთათვის მოკლევადიანი მივლინებისას იმ სახელმწიფოს შიგნით, სადაც მდებარეობს ეს დაწესებულება) განსაზღვრული ნორმებით.

10¹. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ შემთხვევაში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეს ქვეყნის ფარგლებს გარეთ გრძელვადიანი სამსახურებრივი მივლინების ხარჯები შესაძლებელია აუნაზღაურდეს როტაციის წესით სამუშაო მივლინების ხარჯების ანაზღაურებისათვის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 6 ოქტომბრის ბრძანებულება №595 - ვებგვერდი, 10.10.2011წ.

11. თუ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოსამსახურის მივლინებას მიმღები მხარე უზრუნველყოფს კვების ხარჯებით, მოსამსახურეს უნაზღაურდება სადღეღამისო ნორმის მხოლოდ 30%.

12. მგზავრობის ხარჯები ანაზღაურდება შესაბამის მიმართულებაზე არსებული მგზავრობის ღირებულების გათვალისწინებით, მაგრამ არა უმეტეს ეკონომკლასის ბილეთის ღირებულებისა, გარდა ამ ბრძანებულებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. ამ ბრძანებულებით გათვალისწინებული გამონაკლისების მიუხედავად, ბიზნესკლასის ბილეთის ღირებულების ანაზღაურება დაუშვებელია, თუ ფრენის მთლიანი ხანგრძლივობა (მათ შორის, ტრანზიტული მგზავრობის დროს) 5 საათზე ნაკლებია (მათ შორის, მგზავრობის ხარჯის ფაქტობრივად გაწეული ხარჯების შესაბამისად ანაზღაურებისას).

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 10 იანვარი ბრძანებულება №26-სსმ III, №4, 10.01.2007წ; მუხ.23

საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 15 აპრილის ბრძანებულება №206 – ვებგვერდი, 15.04.2011წ.

საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 13 ივნისის ბრძანებულება №316 - ვებგვერდი, 14.06.2011წ.

საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 13 სექტემბრის ბრძანებულება №513 - ვებგვერდი, 14.09.2011წ.

13. მოსამსახურემ, რომელიც მიემგზავრება მივლინებაში, სამგზავრო თანხების მისაღებად დაწესებულებაში უნდა წარადგინოს მგზავრობის ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტი.

14. ქვეყნის შიგნით მივლინებისას საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯების ანაზღაურებისათვის მოსამსახურეს ეძლევა თანხა არა უმეტეს საშუალო კლასის სასტუმროს ნომრის ღირებულებისა, ხოლო ქვეყნის გარეთ მივლინებისას – ამ ბრძანებულების №2 დანართით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად.

14¹. საქართველოს პრეზიდენტის დაცვითი ღონისძიებების უზრუნველსაყოფად ქვეყნის შიგნით მივლინებულ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებს სადღეღამისო ხარჯებისა და საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისათვის ეძლევათ დღეში 50

ლარი, ხოლო მივლინებიდან დაბრუნების დღეს უნაზღაურდებათ მხოლოდ ამ ბრძანებულებით დადგენილი ქვეყნის შიგნით სამსახურებრივი მივლინების სადღეღამისო ხარჯების ნორმა.
საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულება №1079-სსმ III, №171, 30.12.2010წ; მუხ.2455

15. სამთავრობო დელეგაციის წევრებს, ამ ბრძანებულების №3 დანართში ჩამოთვლილ თანამდებობის პირებს, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩებს, საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლებს და დიპლომატიურ მისიათა ხელმძღვანელებს, NATO/PfP/SOFA-ს ფარგლებში და NATO-ს უსაფრთხოების კონფერენციებში მონაწილე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეებს, ამავე დანართის შენიშვნის მე-5 პუნქტში ჩამოთვლილ თანამდებობის პირთა თანმხლებ პირებს და უმაღლესი რანგის თანამდებობის პირთა პირად დაცვას სასტუმროში დაქირავებული ნომრის ღირებულება შესაძლებელია აუნაზღაურდეთ ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი საბუთის მიხედვით.

საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 4 ივნისის ბრძანებულება №456-სსმ III, №69, 10.06.2005წ; მუხ.737
საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 1 თებერვლის ბრძანებულება №93-სსმ III, №14, 03.02.2006წ; მუხ.163
საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 13 დეკემბრის ბრძანებულება №742-სსმ III, №168, 14.12.2006წ; მუხ.2273
საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 28 იანვრის ბრძანებულება №35-სსმ III, №15, 30.01.2008წ; მუხ.183
საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 20 დეკემბრის ბრძანებულება №1029-სსმ III, №166, 20.12.2010წ; მუხ.2381

15¹. „ღია ცის შესახებ“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ღონისძიებებში მონაწილე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურის სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება ხორციელდება აღნიშნული ხელშეკრულების შესაბამისად დადგენილი ნორმებით, ამასთან, მოსამსახურეს დამატებით უნაზღაურდება ამ ბრძანებულების №2 დანართით დაწესებული სადღეღამისო ნორმის 30%.

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 30 სექტემბრის ბრძანებულება №465-სსმ III, №144, 01.10.2008წ; მუხ.1430

15². უცხო ქვეყნებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მცურავი საშუალებებით მივლინებისას მოსამსახურეთა კვებით უზრუნველყოფა ხორციელდება შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების საფუძველზე. ამასთანავე, მოსამსახურეებს უნაზღაურდებათ ამ ბრძანებულების №2 დანართით დაწესებული სადღეღამისო ნორმის მხოლოდ 30%.

საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 27 დეკემბრის ბრძანებულება №961-სსმ III, №158, 29.12.2009წ; მუხ.1896

15³. უცხო სახელმწიფოებსა და საზღვარგარეთ საერთაშორისო ორგანიზაციებში მივლინებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მეკავშირე ოფიცრის სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება ხორციელდება შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების საფუძველზე.

საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 3 იანვრის ბრძანებულება №2 - ვებგვერდი, 03.01.2012წ.

16. იმ შემთხვევაში, როდესაც მიმღები მხარე უზრუნველყოფს მოსამსახურის მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯების სრულად დაფარვას, მოსამსახურეს მიეცემა მხოლოდ ამ ბრძანებულების №3 დანართით განსაზღვრული დანამატი.

17. მოსამსახურეს სამივლინებო თანხა ავანსის სახით უნდა მიეცეს მივლინებაში გამგზავრებამდე, გარდა ამ წესით დადგენილი გამონაკლისებისა.

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 20 დეკემბრის ბრძანებულება №1029-სსმ III, №166, 20.12.2010წ; მუხ.2381

17¹. ქვეყნის შიგნით სამსახურებრივი მივლინებისას მოსამსახურეს სამივლინებო თანხა შეიძლება მიეცეს მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ ფაქტობრივად გაწეული შესაბამისი ხარჯების დამადასტურებელი საბუთების წარდგენიდან არა უგვიანეს 30 დღისა.

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 20 დეკემბრის ბრძანებულება №1029-სსმ III, №166, 20.12.2010წ; მუხ.2381

18. მივლინების დამთავრებიდან:

ა) არა უგვიანეს 60 დღისა ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებიდან დაბრუნებულმა მოსამსახურემ დაწესებულებას უნდა წარუდგინოს მგზავრობისათვის ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი საბუთები, ხოლო ამ წესის მე-15 პუნქტითა და ამ ბრძანებულების №3 დანართის შენიშვნის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულმა თანამდებობის პირებმა დაწესებულებას ასევე უნდა წარუდგინონ ამავე პუნქტებით განსაზღვრული ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი საბუთები;

ბ) არა უგვიანეს 1 თვისა, ქვეყნის შიგნით მივლინებიდან დაბრუნებულმა მოსამსახურემ დაწესებულებას უნდა წარუდგინოს მგზავრობისა და საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისათვის ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი საბუთები, ხოლო ამ წესის 14¹ პუნქტით გათვალისწინებულმა პირებმა მხოლოდ მგზავრობისათვის გაწეული ხარჯების დამადასტურებელი საბუთები - არასამსახურებრივი ტრანსპორტით მგზავრობის შემთხვევაში.

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 14 მაისის ბრძანებულება №300-სსმ III, №67, 15.05.2007წ; მუხ.745

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 10 ივნისის ბრძანებულება №403-სსმ III, №66, 10.06.2010წ; მუხ.979

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 20 დეკემბრის ბრძანებულება №1029-სსმ III, №166, 20.12.2010წ; მუხ.2381

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულება №1079-სსმ III, №171, 30.12.2010წ; მუხ.2455

18¹. ამ ბრძანებულების №3 დანართის შენიშვნის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ თანამდებობის პირებს ამავე პუნქტით განსაზღვრული ფაქტობრივად გაწეული ხარჯები შესაძლებელია აუნაზღაურდეთ შესაბამისი საბუთების ამ წესის მე-18 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ წარდგენის შემთხვევაშიც.

საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 13 ივნისის ბრძანებულება №316 - ვებგვერდი, 14.06.2011წ.

19. იმ შემთხვევაში, თუ მოსამსახურე ვერ წარუდგენს დაწესებულებას მისთვის ავანსის სახით გაცემული თანხის სრულად დახარჯვის დამადასტურებელ საბუთებს ამ წესის მე-18 პუნქტის შესაბამისად, მოსამსახურე ვალდებულია დაწესებულებას დაუბრუნოს ავანსის სახით გაცემულ თანხასა და ფაქტობრივად გაწეულ ხარჯებს შორის არსებული სხვაობა. ანგარიშვალდებულ პირებს მორიგი მივლინების ხარჯები არ მიეცემათ ამ პუნქტით გათვალისწინებული სხვაობის დაფარვის გარეშე.

20. ქვეყნის შიგნით მგზავრობისათვის გაწეული ხარჯების დამადასტურებელი საბუთების წარუდგენლობის შემთხვევაში, მოსამსახურისათვის მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება ხორციელდება ქვეყანაში მოქმედი რკინიგზის ან საავტომობილო ტრანსპორტის მინიმალური ტარიფების ფარგლებში.

შენიშვნა:

1. სამთავრობო დელეგაციის ვიზიტის მოსამზადებლად მოსამსახურის ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებისას, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება შეიძლება მოხდეს ფაქტობრივად გაწეული ხარჯების შესაბამისად.

2. შესაბამისი დაწესებულებისა და საქართველოს პარლამენტის წევრთა ან საქართველოს პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეთა ერთობლივი წარმომადგენლობითი დელეგაციის სამსახურებრივი მივლინებისას სამივლინებო ხარჯები შესაძლებელია ანაზღაურდეს შესაბამისი დაწესებულების მიერ წლიური საბიუჯეტო კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

3. საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ქვეყნის ფარგლებს გარეთ ვიზიტთან დაკავშირებით, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საზღვარგარეთ მივლინებულ თანამშრომლებს ეძლევათ სადღეღამისო ნორმაზე დანამატი 30%-ის ოდენობით.

4. ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მივლინებისას, ამ ბრძანებულების №3 დანართის შენიშვნის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ მაღალი რანგის თანამდებობის პირებს – მგზავრობის, ხოლო დასაცავი პირების ვიზიტთან დაკავშირებით საზღვარგარეთ მივლინებულ საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები აუნაზღაურდებათ ამ წესის მე-18 პუნქტის შესაბამისად, დაწესებულებაში წარდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი საბუთების მიხედვით, წლიური საბიუჯეტო კანონით შესაბამისი უწყებებისათვის დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

5. სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ქვეყნის ფარგლებს გარეთ საქართველოს პრეზიდენტის, აგრეთვე საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით წარგზავნილ (მივლინებულ) იმ პირთა სამივლინებო ხარჯები, რომლებიც არ არიან საჯარო მოსამსახურეები, შესაძლებელია ანაზღაურდეს ამ ბრძანებულებით დადგენილი ნორმების გათვალისწინებით, შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის და საქართველოს მთავრობის კანცელარიისათვის წლიური საბიუჯეტო კანონით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულება №1081-სსმ III, №171, 30.12.2010წ; მუხ.2457

საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 20 სექტემბრის ბრძანებულება №534 - ვებგვერდი, 20.09.2011წ.

5¹. ქვეყნის ფარგლებს გარეთ საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტის დროს დელეგაციის შემადგენლობაში მყოფი საჯარო მოსამსახურეების სამივლინებო ხარჯები შესაძლებელია ანაზღაურდეს ამ ბრძანებულებით დადგენილი ნორმების გათვალისწინებით საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის წლიური საბიუჯეტო კანონით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 5 აპრილის ბრძანებულება №227 - ვებგვერდი, 05.04.2013წ.

6. სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, სამშვიდობო ან სხვა სახის ოპერაციების განხორციელების ადგილას საქართველოს თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილებით წარგზავნილ (მივლინებულ) იმ პირთა სამივლინებო ხარჯები, რომლებიც არ არიან საჯარო მოსამსახურეები შესაძლებელია ანაზღაურდეს ამ ბრძანებულებით დადგენილი ნორმების შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის წლიური საბიუჯეტო კანონით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 4 ივნისის ბრძანებულება №456-სსმ III, №69, 10.06.2005წ; მუხ.737

საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 17 მარტის ბრძანებულება №210-სსმ III, №35, 17.03.2006წ; მუხ.419

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 8 ივნისის ბრძანებულება №353-სსმ III, №82, 14.06.2007წ; მუხ.870

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 2 ოქტომბრის ბრძანებულება №474-სსმ III, №146, 03.10.2008წ; მუხ.1454

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 17 მაისის ბრძანებულება №315-სსმ III, №56, 20.05.2010წ; მუხ.857

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 10 ივნისის ბრძანებულება №403-სსმ III, №66, 09.06.2010წ; მუხ.979

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 19 ივლისის ბრძანებულება №519-სსმ III, №87, 19.07.2010წ; მუხ.1278

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 24 ნოემბრის ბრძანებულება №958-სსმ III, №153, 24.11.2010წ; მუხ.2177

7. ამ წესის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა არ ვრცელდება საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მივლინების შემთხვევებზე.

საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 15 აპრილის ბრძანებულება №206 - ვებგვერდი, 15.04.2011წ.

საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 13 ივნისის ბრძანებულება №316 - ვებგვერდი, 14.06.2011წ.

ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მივლინების დროს სადღეღამისო და საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯების ანაზღაურების

სადღეღამისო ნორმები				
ქვეყნის დასახელება	უცხოური ვალუტის დასახელება	მოკლევადიანი მივლინებისას	საზღვარგარეთ საქ. დაწესებულების მოსამსახურეთათვის მოკლევადიანი მივლინებისას იმ სახელმწიფოს შიგნით, სადაც მდებარეობს ეს დაწესებულება	საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯების ანაზღაურების სადღეღამისო ნორმა
1	2	3	4	5
ავსტრალიის თანამეგობრობა	ავსტრალიური დოლარი	43	30	220 კანბერაში, 200 დანარჩენ ტერიტორიაზე
ავსტრია	ევრო	49	35	89
ავღანეთი	აშშ დოლარი	30	21	75
აზერბაიჯანი	აშშ დოლარი	35	25	125 ბაქოში, 60 დანარჩენ ტერიტორიაზე
ალბანეთი	აშშ დოლარი	48	34	120
ალჟირი	აშშ დოლარი	41	29	45
ამერიკის შეერთებული შტატები	აშშ დოლარი	60	43	235 ნიუ-იორკში, 180 დანარჩენ ტერიტორიაზე
ანგოლა	აშშ დოლარი	44	31	70
ანდორა	შვეიცარული ფრანკი	66	-	109
ანტიგუა და ბარბუდა	აშშ დოლარი	34	-	80
არაბეთის გაერთიანებული საემიროები	აშშ დოლარი	33	23	159
არგენტინა	აშშ დოლარი	35	25	115
ახალი ზელანდია	აშშ დოლარი	40	28	120
ბანგლადეში	ევრო	34	24	63
ბარბადოსი	აშშ დოლარი	31	-	132
ბახრეინი	აშშ დოლარი	31	-	161
ბაჰამის კუნძულები	აშშ დოლარი	32	-	165
ბელარუსი	აშშ დოლარი	35	25	112 მინსკში, 76 დანარჩენ ტერიტორიაზე
ბელგია	ევრო	38	27	165
ბელიზი	აშშ დოლარი	31	-	85
ბენინი	ევრო	36	25	110
ბერმუდის კუნძულები	აშშ დოლარი	37	-	112
ბოლივია	აშშ დოლარი	30	21	50

ბოსნია და ჰერცეგოვინა	აშშ დოლარი	44	31	79
ბოტსვანა	აშშ დოლარი	37	26	118
ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკა	აშშ დოლარი	57	40	300
ბრუნეი	აშშ დოლარი	31	-	140
ბულგარეთის რესპუბლიკა	ევრო	32	22	100
ბურკინა ფასო	ევრო	36	25	65
გაბონი	ევრო	35	25	95
გაიანა	აშშ დოლარი	35	25	159
გამბია	ევრო	28	19	72
განა	აშშ დოლარი	36	25	64
გერმანია	ევრო	57	40	153
გვატემალა	აშშ დოლარი	31	22	98
გვინეა	აშშ დოლარი	43	30	155
გვინეა ბისაუ	აშშ დოლარი	36	25	67
გიბრალტარი	აშშ დოლარი	32	-	64
გრენადა	აშშ დოლარი	32	-	148
დანია	დანიური კრონა	258	181	1070
დიდი ბრიტანეთი	ინგლისური გირვანქა სტერლინგი	27	19	135 ლონდონში, 100 დანარჩენ ტერიტორიაზე
დომინიკის რესპუბლიკა	აშშ დოლარი	31	-	40
დომინიკის თანამეგობრობა	აშშ დოლარი	55	-	120
ეგვიპტე	აშშ დოლარი	32	22	105
ეთიოპია	ევრო	43	31	51
ეკვადორი	აშშ დოლარი	26	18	155
ეკვატორიალური გვინეა	აშშ დოლარი	35	25	82
ერაყი	აშშ დოლარი	30	21	70
ესპანეთი	ევრო	45	31	134
ესტონეთის რესპუბლიკა	ევრო	27	23	110 ტალინში, 60 დანარჩენ ტერიტორიაზე
ვანუატუს რესპუბლიკა	აშშ დოლარი	44	-	140
ვენესუელა	აშშ დოლარი	39	27	103
ვიეტნამი	აშშ დოლარი	29	20	70
ზამბია	აშშ დოლარი	32	22	87
ზიმბაბვე	აშშ დოლარი	40	28	70
თურქეთის რესპუბლიკა	ევრო	33	23	65
თურქმენეთი	აშშ დოლარი	35	25	52
იამაიკა	აშშ დოლარი	34	24	125
იაპონია	იაპონური იენა	12150	8500	21500
იემენი	ევრო	42	29	38

ინდოეთი	აშშ დოლარი	30	21	124
ინდონეზია	აშშ დოლარი	31	22	52
იორდანია	აშშ დოლარი	34	24	102
ირანის ისლამური რესპუბლიკა	ევრო	19	13	60
ირლანდია	ევრო	32	23	150
ისლანდია	აშშ დოლარი	39	27	185
ისრაელი	აშშ დოლარი	49	34	117
იტალია	ევრო	45	32	102
სერბია და ჩერნოგორია	აშშ დოლარი	44	31	100 ბელგრადში, 49 დანარჩენ ტერიტორიაზე
კაბო ვერდე	აშშ დოლარი	34	24	50
კაიმანის კუნძულები	აშშ დოლარი	43	-	85
კამბოჯა	აშშ დოლარი	31	22	65
კანადა	აშშ დოლარი	56	39	135
კატარი	აშშ დოლარი	41	29	95
კენია	აშშ დოლარი	28	20	124
კვიპროსის რესპუბლიკა	ევრო	87	60	145
კირიბატის რესპუბლიკა	აშშ დოლარი	35	-	85
კოლუმბია	აშშ დოლარი	31	22	59
კომორის კუნძულები	აშშ დოლარი	35	25	34
კონგო	ევრო	41	29	38
კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა	აშშ დოლარი	44	31	38
კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა	აშშ დოლარი	32	22	96
კოსტა-რიკა	აშშ დოლარი	29	20	60
კოტ დიუვარი	ევრო	42	29	98
კუბა	აშშ დოლარი	32	22	70
ლაოსი	აშშ დოლარი	33	23	75
ლატვიის რესპუბლიკა	ევრო	27	23	110 რიგაში, 60 დანარჩენ ტერიტორიაზე
ლესოტო	აშშ დოლარი	32	22	61
ლიბანი	აშშ დოლარი	25	18	65
ლიბერია	აშშ დოლარი	43	30	39
ლიბია	აშშ დოლარი	24	17	54
ლიტვის რესპუბლიკა	ევრო	27	23	110 ვილნიუსში, 80 დანარჩენ ტერიტორიაზე
ლიხტენშტეინი	შვეიცარული ფრანკი	56	-	65
ლუქსემბურგი	ევრო	38	27	102
მადაგასკარი	აშშ დოლარი	39	27	70

მავრიკია	აშშ დოლარი	30	-	75
მავრიტანია	აშშ დოლარი	37	-	35
მაკაო	აშშ დოლარი	28	-	53
მაკედონია	აშშ დოლარი	44	31	117
მალავი	აშშ დოლარი	29	20	44
მალაიზია	მალაიზიური რინგიტი	69	48	200
მალდივი	აშშ დოლარი	23	16	25
მალი	ევრო	34	24	60
მალტა	ევრო	45	32	110
მარშალის კუნძულების რესპუბლიკა	აშშ დოლარი	55	-	270
მაროკო	ევრო	36	25	50
მექსიკა	აშშ დოლარი	29	20	102
მიანმა	ევრო	32	22	45
მიკრონეზიის ფედერაციული სახელმწიფო	აშშ დოლარი	45	-	135
მოზამბიკი	აშშ დოლარი	37	26	45
მოლდოვას რესპუბლიკა	ევრო	27	19	105 კიშინიოვში, 30 დანარჩენ ტერიტორიაზე
მონაკო	ევრო	38	-	121
მონტენეგრო	ევრო	30	-	120
მონღოლეთი	აშშ დოლარი	34	24	39
ნამიბია	აშშ დოლარი	41	29	43
ნეპალი	აშშ დოლარი	24	17	45
ნიგერი	ევრო	33	24	60
ნიგერია	აშშ დოლარი	44	31	92
ნიდერლანდები	ევრო	41	29	125
ნიკარაგუა	აშშ დოლარი	33	23	55
ნორვეგია	ნორვეგიული კრონა	252	176	1013
ომანი	აშშ დოლარი	39	27	85
პაკისტანი	აშშ დოლარი	34	24	50
პალაუს რესპუბლიკა	აშშ დოლარი	29	-	170
პანამა	აშშ დოლარი	35	25	93
პაპუა-ახალი გვინეას დამოუკიდებელი სახელმწიფო	აშშ დოლარი	36	25	300
პარაგვაი	აშშ დოლარი	27	-	80
პერუ	აშშ დოლარი	31	21	85
პოლონეთის რესპუბლიკა	ევრო	27	19	115
პორტუგალია	ევრო	34	24	127
პუერტო-რიკო	აშშ დოლარი	32	-	120
რუანდა	აშშ დოლარი	37	26	75
რუმინეთი	ევრო	28	20	90

რუსეთის ფედერაცია	აშშ დოლარი	50 მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში, 35 დანარჩენ ტერიტორიაზე	35 მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში, 25 დანარჩენ ტერიტორიაზე	233 მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში, 77 დანარჩენ ტერიტორიაზე
საბერძნეთი	ევრო	39	28	98
სალვადორი	აშშ დოლარი	28	-	46
სამოას დამოუკიდებელი სახელმწიფო	აშშ დოლარი	27	-	150
სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა	აშშ დოლარი	41	29	79
სამხრეთ კორეა	აშშ დოლარი	54	38	137
სან-მარინო	ევრო	24	-	81
სან-ტომე და პრინსიპი	აშშ დოლარი	34	24	50
საუდის არაბეთი	აშშ დოლარი	51	35	75
საფრანგეთი	ევრო	56	40	134 პარიზში, 97 დანარჩენ ტერიტორიაზე
საფრანგეთის ზღვისიქითა ტერიტორია	ევრო	38	-	84
სეიშელის კუნძულები	ევრო	47	33	128
სენეგალი	ევრო	38	27	65
სენტ-ლუსია	აშშ დოლარი	32	22	133
სვაზილენდი	აშშ დოლარი	27	-	83
სიერა-ლეონე	აშშ დოლარი	33	23	31
სინგაპური	სინგაპურული დოლარი	64	45	288
სირია	აშშ დოლარი	34	24	61
სლოვაკეთის რესპუბლიკა	ევრო	18	13	80
სლოვენის რესპუბლიკა	ევრო	34	24	65
სოლომონის კუნძულები	აშშ დოლარი	45	-	150
სომალი	აშშ დოლარი	39	27	25
სომხეთი	აშშ დოლარი	35	25	105 ერევანში, 53 დანარჩენ ტერიტორიაზე
სუდანი	შვეიცარული ფრანკი	60	42	125
სურინამი	აშშ დოლარი	51	36	90
ტაივანი	აშშ დოლარი	28	20	120
ტაილანდი	შვეიცარული ფრანკი	61	43	115
ტანზანია	აშშ დოლარი	39	27	75
ტაჯიკეთი	აშშ დოლარი	35	25	67 დუმანბეში, 15 დანარჩენ

				ტერიტორიაზე
ტოგო	ევრო	36	25	34
ტონგას სამეფო	აშშ დოლარი	27	-	165
ტრინიდადი და ტაბაგო	აშშ დოლარი	34	-	135
ტუნისი	ინგლისური გირვანქა სტერლინგი	24	17	35
უგანდა	აშშ დოლარი	36	25	75
უზბეკეთი	აშშ დოლარი	35	25	100 ტაშკენტში, 60 დანარჩენ ტერიტორიაზე
უკრაინა	აშშ დოლარი	35	25	185 კიევში, 82 დანარჩენ ტერიტორიაზე
უნგრეთი	ევრო	21	15	130
ურუგვაი	აშშ დოლარი	27	19	44
ფილიპინები	აშშ დოლარი	28	20	105
ფინეთი	ევრო	39	27	110
ფიჯის რესპუბლიკა	აშშ დოლარი	27	-	100
ქუვეითი	ქუვეითური დინარი	8	6	45
ყაზახეთი	აშშ დოლარი	40	28	160 ალმა-ათასა და ასტანაში, 45 დანარჩენ ტერიტორიაზე
ყირგიზეთი	აშშ დოლარი	35	25	189 ბიშკეკში, 55 დანარჩენ ტერიტორიაზე
შვეიცარია	შვეიცარული ფრანკი	80	56	191
შვედეთი	შვედური კრონა	310	220	750
შრი-ლანკა	შვეიცარული ფრანკი	49	34	95
ჩადი	ევრო	40	13	65
ჩეხეთის რესპუბლიკა	ევრო	27	19	130
ჩილე	აშშ დოლარი	28	20	91
ჩინეთი	აშშ დოლარი	30	20	131
ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა	ევრო	44	31	70
ხორვატიის რესპუბლიკა	ევრო	34	24	120 ზაგრებში, 60 დანარჩენ ტერიტორიაზე
ჰაიტი	აშშ დოლარი	34	-	60
ჰონდურასი	აშშ დოლარი	31	-	57

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 მაისის ბრძანებულება №324-სსმ III, №75, 29.05.2007წ; მუხ.795 საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 28 იანვრის ბრძანებულება №35-სსმ III, №15, 30.01.2008წ; მუხ.183 საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 2 თებერვლის ბრძანებულება №81 - ვებგვერდი, 02.02.2012წ. საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 16 მარტის ბრძანებულება №213 - ვებგვერდი, 16.03.2012წ.

საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 4 ივნისის ბრძანებულება №461 - ვებგვერდი, 04.06.2012წ.
 საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 5 ივნისის ბრძანებულება №462 - ვებგვერდი, 05.06.2012წ.

დანართი №3

მაღალი რანგის თანამდებობის პირთათვის ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მივლინებისას სადღეღამისო ნორმის დანამატი

მოსამსახურეთა თანამდებობის დასახელება	სადღეღამისო ნორმაზე დანამატის ოდენობა პროცენტობით
საქართველოს მინისტრი და სახელმწიფო მინისტრი	80
საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში – ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი	80
საქართველოს მთავარი პროკურორი	80
საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე	80
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი	80
საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი	80
ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე	80
ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე	80
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი	80
საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსი	80
საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსი	80
საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს თავმჯდომარე და წევრები	70
საქართველოს სახალხო დამცველი	80
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე	70
საქართველოს მინისტრისა და სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსი	70
საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსის მოადგილე	70
საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსი	70
სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი	70
საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილე	70
საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე	70
საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი	70
ქ. თბილისის მერი, ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე	70
ქ. თბილისის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) და მოადგილეები, ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	70
საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი	70
საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე	70
ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე	70
საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი	70
საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი	70
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და კომისიის მდივანი	60
ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე და მინისტრი	60
საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე	60
საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი	60
საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მთავარი და წამყვანი საჯარო	40

თანამდებობის პირები	
საქართველოს მთავრობის კანცელარიის მთავარი საჯარო თანამდებობის პირი	40
ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის მთავარი საჯარო თანამდებობის პირი	40
საქართველოს სამთავრობო დელეგაციის ხელმძღვანელი	40
საქართველოს სამთავრობო დელეგაციის წევრი	30

შენიშვნები:

1. საქართველოს პრეზიდენტის სადღეღამისო ნორმის დანამატი განისაზღვროს 300 აშშ დოლარის ეკვივალენტით შესაბამისი ვალუტით.

2. საქართველოს პრემიერ-მინისტრის სადღეღამისო ნორმის დანამატი განისაზღვროს 150 აშშ დოლარის ეკვივალენტით შესაბამისი ვალუტით.

3. სამთავრობო დელეგაციებს მიეკუთვნებიან ის დელეგაციები, რომელთაც მიენიჭათ უფლება გამოვიდნენ საქართველოს სახელით.

4. მოსამსახურეებს უფლება აქვთ მიიღონ ამ დანართით გათვალისწინებული მხოლოდ ერთი დანამატი.

5. საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს, საქართველოს მინისტრს და სახელმწიფო მინისტრს, საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწეს ეროვნული უშიშროების საკითხებში – ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანს, საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსს, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარეს, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, ქალაქ თბილისის მერს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანსა და საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსს ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებისას მივლინებასთან დაკავშირებული კავშირგაბმულობის, ტრანსპორტის დაქირავებისა და წარმომადგენლობითი ხარჯები, აგრეთვე სამთავრობო დელეგაციის ვიზიტის მოსამზადებლად ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებისას მოსამსახურეს მივლინებასთან დაკავშირებული კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის დაქირავების ხარჯები, ხოლო სამთავრობო დელეგაციის წევრებს – მივლინებასთან დაკავშირებული კავშირგაბმულობის ხარჯები აუნაზღაურდება ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი საბუთების მიხედვით, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით შესაბამისი უწყებებისათვის დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში, ხოლო საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მივლინების შემთხვევაში – საქართველოს ეროვნული ბანკის სახსრებით.

6. საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განისაზღვროს მაღალი რანგის თანამდებობის პირთა სადღეღამისო ნორმის დანამატის ამ დანართით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული ოდენობა, ამავე სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ შემთხვევებში.

საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 4 ივნისის ბრძანებულება №456-სსმ III, №69, 10.06.2005წ; მუხ.737
საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 1 თებერვლის ბრძანებულება №93-სსმ III, №14, 03.02.2006წ; მუხ.163
საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 6 ნოემბრის ბრძანებულება №653-სსმ III, №150, 08.11.2006წ; მუხ.2076

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 10 იანვარი ბრძანებულება №26-სსმ III, №4, 10.01.2007წ; მუხ.23
საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 27 მარტის ბრძანებულება №204-სსმ III, №43, 29.03.2007წ; მუხ.483
საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 14 მაისის ბრძანებულება №300-სსმ III, №67, 15.05.2007წ; მუხ.745
საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 20 ივნისის ბრძანებულება №373-სსმ III, №87, 22.06.2007წ; მუხ.934
საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 28 იანვრის ბრძანებულება №35-სსმ III, №15, 30.01.2008წ; მუხ.183
საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 21 თებერვლის ბრძანებულება №96-სსმ III, №29, 25.02.2008წ; მუხ.301

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 ნოემბრის ბრძანებულება №549-სსმ III, №166, 21.11.2008წ;
მუხ.1675

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 18 მაისის ბრძანებულება №320-სსმ III, №56, 20.05.2010წ; მუხ.858

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 7 ივლისის ბრძანებულება №473-სსმ III, №82, 08.07.2010წ; მუხ.1183

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის ბრძანებულება №819-სსმ III, №131, 12.10.2010წ;
მუხ.1901

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 17 დეკემბრის ბრძანებულება №1024-სსმ III, №166, 20.12.2010წ;
მუხ.2377

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 20 დეკემბრის ბრძანებულება №1029-სსმ III, №166, 20.12.2010წ;
მუხ.2381

საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 17 თებერვლის ბრძანებულება №86 – ვებგვერდი, 18.02.2011წ.

საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 12 სექტემბრის ბრძანებულება №510 - ვებგვერდი, 12.09.2011წ.

საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 3 ოქტომბრის ბრძანებულება №577 - ვებგვერდი, 03.10.2011წ.

საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 22 მარტის ბრძანებულება №233 - ვებგვერდი, 22.03.2012წ

საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 15 აგვისტოს ბრძანებულება №717 - ვებგვერდი, 15.08.2012წ.

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 11 იანვრის ბრძანებულება №15 - ვებგვერდი, 11.01.2013წ.